ქალაქ ქუთაისში, მესხის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის
N11 ბინაზე, მოქალაქე ლევან ფაჩულიასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ლევან ფაჩულიას განცხადება /2011 წლის 01.12 Nფ–9430/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მესხის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N11 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მესხის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლევან ფაჩულიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მესხის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე /საერთო ფართობი 44,31 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 29,40 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,91 კვ.მ./ მოქალაქე ლევან ფაჩულიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე